GEORGIAN INSTITUTE OF PUBLIC AFFAIRS

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: ვიზუალური კომუნიკაცია (რეკლამა და საკომუნიკაციო დიზაინი)

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ***ხელოვნების ბაკალავრი ვიზუალურ კომუნიკაციაში BFA in Visual Communication***

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 180 კრედიტი

სწავლების ენა: ქართული

უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური: ბაკალავრიატი

საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი: აკადემიური

პროგრამის აღწერა:

დღევანდელ მსოფლიოში, მედიის მრავალფეროვნებასთან ერთად, ეფექტური ვიზუალური კომუნიკაცია ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი და გავრცელებული ფორმაა. ვიზუალური კომუნიკაციის პროგრამის მისიაა ახალგაზრდებს მისცეს საუკეთესო შემოქმედებითი და პრაქტიკული ცოდნა მათი პიროვნული განვითარებისთვის, ინტელექტუალური, პირადი და პროფესიული წარმატებისთვის. ქართული სარეკლამო/საკომუნიკაციო კრეატიული ინდუსტრია ახალგაზრდაა, სულ რაღაც 15 წელია არსებობს მსოფლიო კრეატიული ინდუსტრიების რუკაზე. ვიზუალური კომუნიკაციის (რეკლამა და საკომუნიკაციო დიზაინი) საბაკალავრო პროგრამის, ისევე როგორც მისი წინამორბედი მედია ხელოვნების მიმართულების (აუდიო-ვიზუალური და მედია ხელოვნების პროგრამა) დიდი იდეა სწორედ ამ ინდუსტრიის გაძლიერებაზე და განვითარებაზეა ორიენტირებული. **პროგრამის ხედვა უკავშირდება:**

- სწავლის პროცესში ვიზუალური ხერხების ათვისებას და გამოყენებას სხვადასხვა იდეების კომუნიკაციის მიზნით, ტრადიციული და ახალი მედია საშუალებებით. ის მოიცავს შემოქმედებით გადაწყვეტილებებს (კომერციულსა და არაკომერციულს) და მის იმპლემენტაციას, ეფუძნება ხელოვნების და დიზაინის თეორიებს, აერთიანებს ინოვაციურ ტექნოლოგიებს, პლატფორმებსა და მეთოდებს, რაც ქმნის ახალ ვიზუალური კომუნიკაციის ფორმებს. ესთეტიკის, კრეატიულობის, ინტერპრეტაციის სინერგია უკავშირდება ინოვაციური იდეების გენერირებას და ალტერნატიული გზების ძიებას.
- ვიზუალური კონტენტის წარმოებისთვის, მხატვრული მეთოდების, მედიების და ტექნოლოგიების გამოყენებით მომავალი პროფესიონალების, შესაბამისი ცოდნითა და უნარ-ჩვევებით, ეთიკის ნორმებით და ღირებულებებით აღჭურვას. ინდუსტრიის მოქმედი ლიდერების (ხელოვნების

CONFIDENTIAL

თეორეტიკოსები, მხატვრები, გრაფიკული, ციფრული დიზაინერები, არტ დირექტორები, ქოფირაიტერები, კრეატიული დირექტორები, მარკეტოლოგები, ინოვაციური ტექნოლოგიების სპეციალისტები) ჩართულობა სასწავლო პროცესში უზრუნველყოფს ფუნდამენტური საკითხების გააზრებით, თემატური კვლევისა და ანალიზის საფუძველზე ვიზუალური და კრეატიული აზროვნების ჩამოყალიბებას, იდეების ფორმირებას, პრობლემის ინოვაციურ გადაწყვეტებს, საკომუნიკაციო სტრატეგიებზე დაყრდნობით.

- კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას, როგორც მომავალი შემოქმედებითი ლიდერების (Art Director)[1], რომლებიც ასრულებენ პროაქტიურ როლებს კრეატიულ ინდუსტრიაში, რომელიც გავლენას ახდენს შემოქმედებითი ეკონომიკის ზრდის ტემპზე და ზოგად დინამიკაზე. კურსდამთავრებული აღჭურვილია მრავალმხრივი შემოქმედებითი და ტექნიკური უნარებით, პროფესიონალური შემოქმედებითი პორტფოლიოთი, რაც მრავალმილიონიან ინდუსტრიაში დასაქმებისათვის მთავარი კრიტერიუმი და საერთაშორისო სტანდარტია. ასევე, წვლილი შეაქვს ქართული „კრეატიული ეკონომიკის“ და კრეატიული ინდუსტრიის განვითარებაში, საერთაშორისო პროექტებსა და კონკურსებში მონაწილეობით ზრდის ლოკალური ინდუსტრიის ცნობადობას საერთაშორისო დონეზე.

<u>პროგრამის მიზანი:</u>

ვიზუალური კომუნიკაციის (რეკლამა და საკომუნიკაციო დიზაინი) საბაკალავრო პროგრამის მიზანია სტუდენტს **შესძინოს და გამოუმუშავოს:**

- ფართო ცოდნა ხელოვნებასა და ვიზუალური კომუნიკაციაში (ისტორია, თეორია და კულტურა, როგორც მოვლენათა ერთობლიობა)
- კრეატიული და კონცეპტუალური აზროვნება პრობლემის ინოვაციური გადაწყვეტილებებისათვის (Design Thinking Toolkit)
- ხელოვნების ფორმებისა და ვიზუალური მედიის კომბინირების მეთოდები ინოვაციური იდეების განსახორციელებლად
- სტრატეგიული აზროვნება და მედიის ფართოდ გააზრება (Everything is media)
- თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების, მეთოდებისა და ხერხების შემოქმედებითად გამოყენების უნარი
- პროფესიული ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტების დაცვით დარგობრივი (პროფესონალური) კომპეტენციის ფორმირება და ტრანსფერული უნარები

<u>პროგრამის სწავლის შედეგები:</u>

პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე, სასწავლო პროცესი ორიენტირებულია სწავლის შედეგების მიღწევაზე და საკვანძო კომპეტენციების გამომუშავებაზე, რაც წარმოადგენს აუცილებელ, დარგის შესაბამის მრავალფუნქციონალურ პაკეტს და მნიშვნელოვანია კურსდამთავრებულის პიროვნული მიღწევებისა და განვითარებისათვის, ისევე როგორც სოციალური ჩართულობისა და დასაქმებისათვის.

ცოდნა და გაცნობიერება

კურსდამთავრებული:

- **შედეგი 1**: აღწერს ხელოვნებაში მიმდინარე მოვლენათა ჯაჭვს, გამოკვეთს და მიმოიხილავს სოციალურ-კულტურულ და პოლიტიკურ პროცესებს და განარჩევს გამოხატვის ფორმების ეპოქალურ, კულტურულ, ესთეტურ ასპექტებს. განსაზღვრავს ხელოვნების, როგორც დემოკრატიული მედიუმის და საჯარო გამოხატვის ფორმის მნიშვნელობას თავისუფალი, კრეატიული და კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბებაში.
- **შედეგი 2**: აკავშირებს ხელოვნებისა და კომუნიკაციის ფორმებს, ვიზუალურ საკომუნიკაციო სფეროში არსებულ თანამედროვე თეორიებისა და მიმდინარე პროცესების შესაბამისად, აღწერს კონცეფციის ფორმირების და განვითარების ინსტრუმენტთა ნაკრებს, აზროვნების დიზაინის არაწრფივი პროცესის ფაზებს, როგორიცაა პრობლემის აღმოჩენა, გამოკვლევა, მატერიალიზება. გამოკვეთს ამ სფეროს კომპლექსურ საკითხებს.
- **შედეგი 3**: გამოკვეთს და განარჩევს ხელოვნების ფორმებს (ფოტოგრაფია, ტიპოგრაფია, ილუსტრაცია, გრაფიკული და ციფრული დიზაინი, ვიდეო,

---

[1] An Art Director is a person responsible for the visual and creative aspects of a project, typically in the fields of advertising, publishing, or production. They are responsible for supervising and directing the work of artists, designers, and other creative professionals to ensure that the project's visual style and aesthetic are cohesive and effective in conveying the intended message or story.

ციფრული/ინტერაქტიული კონტენტი, ვიზუალური თხრობის ფორმები) და იმპლემენტაციის მეთოდებს, როგორც ტექნიკურ-ტექნოლოგიურ ინსტრუმენტებს (მედიები, კომპიუტერული პროგრამები და ტექნოლოგიები).

- **შედეგი 4**: განიხილავს სარეკლამო/საკომუნიკაციო კრეატიულ ინდუსტრიაში მიმდინარე პროცესებს, ხელოვნების ფორმების, მედია არხებისა და ტექნოლოგიების კომბინირებას ექსპერიმენტული ვიზუალური საკომუნიკაციო პროექტებისათვის და თანამედროვე ტენდენციების შესაბამისად აყალიბებს ინოვაციურ მულტიმედიურ მიდგომებს.

უნარი

კურსდამთავრებული:

- **შედეგი 5**: კონცეფციის ვიზუალური ფორმების შემუშავების პროცესში, კრიტიკული ანალიზის საფუძველზე ეფექტურად არჩევს მედია არხებსა და ციფრულ ტექნოლოგიებს, იღებს სტრატეგიულ გადაწყვეტილებებს და ქმნის მულტიპლატფორმულ რელევანტურ შემოქმედებით საკომუნიკაციო კონტენტს (საკომუნიკაციო დიზაინი და სტრატეგია, კამპანიები) სამიზნე ჯგუფის შესაბამისად.
- **შედეგი 6**: აგროვებს ინფორმაციას და ატარებს თემატურ მოკვლევას, აიდენტიფიცირებს პრობლემას, განსაზღვრავს ამოცანებს, ქმნის საკუთარ სტრატეგიულ კონცეფციას, იღებს კრეატიულ გადაწყვეტილებებს, გეგმავს შემოქმედებით პროექტს, გამოხატავს მას სხვადასხვა ხერხით. მკაფიოდ და ნათლად გადმოსცემს საკუთარ იდეას ეფექტური ვერბალური და ვიზუალური პრეზენტაციით.
- **შედეგი 7**: ეფექტურად მუშაობს ინდივიდუალურად და გუნდურად, პროფესიულ საქმიანობას წარმართავს ეთიკურად, როგორც ლიდერის (Art Director), ისე გუნდის წევრის პერსპექტივიდან, ასრულებს და გასცემს სხვადასხვა სირთულის დავალებას, აანალიზებს სხვის მოსაზრებებს და ლოგიკურად აყალიბებს საკუთარ სტრატეგიულ შემოქმედებით ხედვას.
- **შედეგი 8**: ქმნის შემოქმედებით პორტფოლიოს, აქვს მისი შემდგომში განვითარების და წარდგენის უნარი, იყენებს არსებულ პლატფორმებს საკუთარი თავის საჯარო პრეზენტაციისთვის და ქმნის საკუთარ პლატფორმას.
- **შედეგი 9**: ახდენს სწავლის პროცესში მიღებული თეორიული, ტექნიკური და პრაქტიკული გამოცდილების ინტეგრირებას (სწავლის პროცესში განხორციელებული რეალური პროექტები, სტაჟირების და პერსონალური პროექტის განხორციელების პერიოდი) ინოვაციური გადაწყვეტის გზების, ტექნიკების და ვიზუალური ფორმების საძიებლად, შემოქმედებითი იდეების განვითარებისა და განხორციელებისათვის.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

კურსდამთავრებული:

- **შედეგი 10**: პროფესიული ეთიკის მოთხოვნებისა და პასუხისმგებლობის პრინციპების დაცვით წარმართავს პროფესიულ საქმიანობას და დაინტერესებულ მხარეებთან სხვადასხვა ფორმისა და მეთოდის გამოყენებით ამყარებს ეფექტურ კომუნიკაციას. საკუთარი პროფესიონალიზმით, ორგანიზებულობით, მოტივაციით წვლილი შეაქვს სარეკლამო, კრეატიული საკომუნიკაციო ინდუსტრიის განვითარებაში.
- **შედეგი 11**: აღიარებს და პატივს სცემს პროფესიის როლსა და მნიშვნელობას, შემდგომში პროფესიული განვითარებისთვის განსაზღვრავს და გეგმავს ინდივიდუალური განათლების საჭიროებას.

CONFIDENTIAL

მიზნები / შედეგები	ფართო ცოდნა ხელოვნებაში და ვიზუალურ კომუნიკაციებში (ისტორია, თეორია და კულტურა, როგორ მოვლენათა ერთობლიობა)	კრეატიული და კონცეპტუალური აზროვნება პრობლემის ინოვაციური გადაწყვეტისთვის (Design Thinking Toolkit)	ხელოვნების ფორმებისა და ვიზუალური მედიის კომბინირების მეთოდები ინოვაციური იდეების განსახორციელებლად	სტრატეგიული აზროვნება და მედიის ფართო გააზრება (Everything is media)	თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების, მეთოდებისა და ხერხების შემოქმედებითად გამოყენების უნარი	პროფესიული ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტების დაცვით დარგობრივი (პროფესიონალური) კომპეტენციის ფორმირება და ტრანსფერული უნარები
შედეგი #1	X		X	X		X
შედეგი #2	X	X		X		
შედეგი #3	X		X		X	
შედეგი #4	X		X	X	X	X
შედეგი #5		X	X	X	X	X
შედეგი #6	X	X		X		
შედეგი #7		X		X		X
შედეგი #8	X	X	X		X	
შედეგი #9	X		X		X	X
შედეგი #10		X				X
შედეგი #11	X		X	X		X

ინდუსტრიასთან თანამშრომლობის გამოცდილება და შესაძლებლობები:

ვიზუალური კომუნიკაციის (რეკლამა და საკომუნიკაციო დიზაინი) საბაკალავრო პროგრამის მიზნების მიღწევაში მნიშვნელოვანი როლი აქვთ პროგრამის განხორციელებაში ჩართულ კრეატიულ სააგენტოებს და საერთაშორისო პრაქტიკული გამოცდილების მქონე ლექტორებს, რომლებიც მუდმივად ხელს უწყობენ სტუდენტების განვითარებას, სტუდენტების სააგენტოში ან დამოუკიდებელ დასაქმებას (per project job), ეხმარებიან პორტფოლიოს ხარისხის გაუმჯობესებაში, რაც ამ დარგის პროფესიონალისთვის ძალიან მნიშვნელოვანია და კურსდამთავრებულის საერთაშორისო აღიარების ან დასაქმების წინაპირობაა. ამასთანავე ადმინისტრაცია, ლექტორები და კომპანიები სტუდენტებს სწავლის პროცესშივე რთავენ რეალურ პროექტებში და კონკურსებში (ყოველწლიური Portfolio Review თანადაფინანსების მოსაპოვებლად, რეალურ დამკვეთთან ურთიერთობა, ექსტრა-კურიკულური აქტივობები).

სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, იმუშაონ რეალურ ბრიფებზე და მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო კონკურსებში. ისინი წახალისებულნი არიან, გამოიჩინონ კრიტიკული მიდგომა კომერციულ ბრიფებთან მიმართებაში, გამოიკვლიონ, წარმოადგინონ სტრატეგია და მიიღონ არაორდინალური შემოქმედებითი გადაწყვეტილებები, დაფიქრდნენ კონტექსტსა და ინოვაციებს შორის ურთიერთკავშირზე. მნიშვნელოვანია, რეგულარული შეხვედრები კრეატიული ინდუსტრიიდან მოწვეულ სტუმრებთან (Agency Day), ისინი უზიარებენ სტუდენტებს ინდუსტრიის ხედვას, აცნობენ მსოფლიო ტენდენციებს,

განიხილავენ უახლეს ქესებს.

ადმინისტრაციის, კომპანიების და ლექტორების ჩართულობით სტუდენტები სწავლის პერიოდში ახორციელებენ შემოქმედებით პროექტებს და ქმნიან სტუდენტურ პორტფოლიოს. პროგრამის დასკვნით VI სემესტრში (პრაქტიული კომპონენტი) სტუდენტი ახდენს მიღებული ცოდნის, გამოცდილების და ტექნიკური უნარების დემონსტრირებას, მის პრაქტიკულ გამოყენებას, რაც გულისხმობს სავალდებულო სასწავლო პრაქტიკას კრეატიულ სააგენტოებში, დიზაინ სტუდიებში, სარეკლამო ფროდაქშენის კომპანიებში. სტუდენტი სასწავლო პრაქტიკის პერიოდში მუშაობს სრული დატვირთვით შემოქმედებით ჯგუფში სააგენტოების და უშუალო ხელმძღვანელის მიერ დაწესებული გრაფიკის შესაბამისად. ჩართულია მიმდინარე პროექტებში მინიჭებული პოზიციის შესაბამისად. ამავე დროს, სტუდენტი მუშაობს პერსონალურ პროექტზე, სადაც მას კონსულტაციას უწევს პრაქტიკის განმახორციელებელი კომპანიის შემოქმედებითი გუნდი, ამასთან ერთად სტუდენტი ამდიდრებს პროფესიონალურ პორტფოლიოს.
პროგრამის მნიშვნელოვანი ნაწილია ექსტრა-კურიკულარული აქტივობები, რომელიც ხორციელდება **ART FACTORY of GIPA**-ს ფარგლებში:
- ყოველწლიური Portfolio Review დაფინანსების მოსაპოვებლად, რომელიც განისაზღვრება 3 კატეგორიად, BEST PORTFOLIO Grade A, Grade B, Grade C.
- არტ დირექტორთა სტიპენდია, მედია ხელოვნების მიმართულების კურსდამთავრებულთა (არტ დირექტორები, დიზაინერები) ფონდი, რომელსაც განკარგავს წარმომადგენლობითი, ნდობით აღწურვილი გუნდი და გასცემს სტიპენდიებს საკუთარი გადაწყვეტილებით.
- რეალურ დამკვეთებთან ურთიერთობა, არჩევითი ლაბორატორიების ფარგლებში და სტუდენტური სააგენტო Art Factory.
- ყოველთვიური Agency Day, სადაც სტუდენტები ხვდებიან სხვადასხვა კრეატიული სააგენტოების წარმომადგენლებს მსოფლიო საუკეთესო მაგალითების განხილვის, ქართული სარეკლამო თუ ბრენდინგის პროექტების გაზიარების, განხილვის და ანალიზის მიზნით.
- ადგილობრივი და საერთაშორისო კონკურსების სტუდენტური კატეგორია, შემოქმედებითი პროექტები Young Lions Competition www.marketer.ge/category/cannes-lions/, www.youngglory.com, www.red-dot.org/bcd www.dandad.org www.dandad.org/profiles/jury/90138/future-impact-2022/?fbclid=IwAR02i6AV-ZDosqDBzt3NG6i-aNlZD-jOoWyZKMQMuee2ZfJzOKXuZgDPejc https://www.dandad.org/en/d-ad-new-blood-awards/

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

ვიზუალური კომუნიკაციის (რეკლამა და საკომუნიკაციო დიზაინი) საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის/ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირს, შემოქმედებითი კონკურსისა და ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე.
პროგრამაზე ჩარიცხვით დაინტერესებულმა პირმა, ერთიანი ეროვნული გამოცდების ფარგლებში უნდა ჩააბაროს: ქართული ენა და ლიტერატურა; უცხო ენა - ინგლისური. ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის N19/ნ ბრძანების დანართი N3-ით ვიზუალური კომუნიკაციის კვალიფიკაციისთვის გათვალისწინებული ერთ-ერთი არჩევითი საგანი.
ინგლისური ენის გამოცდაში მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შეადგენს 50%-ს.

ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, საბაკალავრო პროგრამაზე სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში დასაშვებია:

ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი განათლება ან მისი ეკვივალენტური განათლება;
ბ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი განათლება ან მისი ეკვივალენტური განათლება და რომლებიც სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელს სწავლობდნენ უცხო ქვეყანაში;
გ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი

საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;
დ) საქართველოს მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სამინისტროს მიერ განსაზღვრული ვადით ცხოვრობენ/ცხოვრობდნენ, სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ასევე შესაძლებელია მობილობის წესით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანებით დამტკიცებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის შესაბამისად.

<u>საბაკალავრო პროგრამაზე ერთიან ეროვნულ გამოცდების გარეშე და მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველ პირებს სავალდებულო წესით მოუწევთ შემოქმედებითი კონკურის გავლა.</u>

შემოქმედებითი კონკურსის შესახებ დეტალური ინფორმაცია იხილეთ შემოქმედებითი კონკურსი ჩატარების წესში.

სწავლება-სწავლის მეთოდები:

☒ ლექცია

☒ ჯგუფში მუშაობა

☒ პრაქტიკული მუშაობა

☒ სემინარი

☒ ელექტრონული რესურსით სწავლება

☐ ელექტრონული სწავლება

☒ სხვა

CONFIDENTIAL

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:

ვიზუალური კომუნიკაციის (რეკლამა და საკომუნიკაციო დიზაინი) საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის დაუფლება სწავლების პროცესში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შეძენილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება.
საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონე ფასდება უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად.
საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ (ერთჯერად ან მრავალჯერად) და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა).
შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების ფორმები) მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს (ზეპირი/წერითი გამოცდა, ზეპირი/წერითი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.). შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ტესტი, ესე/ესეი, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა და სხვ). შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით ანუ შეფასების მეთოდის საზომი ერთეულით, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.

შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში, რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.
დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.
ვიზუალური კომუნიკაციის (რეკლამა და საკომუნიკაციო დიზაინი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის შუალედური და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ხვედრითი წილი აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.
შეფასების სისტემა უშვებს: ხუთი სახის დადებით შეფასებას:
(A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.
ორი სახის უარყოფით შეფასებას:
(FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები,რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.
საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

CONFIDENTIAL

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემის შემადგენელი ნაწილია საშუალო მაჩვენებლის (GPA) გამოანგარიშება. სტუდენტთა შეფასების საშუალო მაჩვენებელი (GPA) გამოიანგარიშება სტუდენტის მიერ სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ ყოველ საგანში მიღებული შეფასების ნამრავლით ამავე საგნის კრედიტზე. საგნებისა და კრედიტების ნამრავლი ჯამდება და იყოფა გავლილი საგნების კრედიტების ჯამურ რაოდენობაზე. საშუალო მაჩვენებლის დაანგარიშებისათვის ნიშნის ხვედრითი წილია:

A = 4
B = 3, 2
C = 2, 4
D = 1, 6
E = 0, 8

დასაქმების სფერო:

ვიზუალური კომუნიკაციის (რეკლამა და საკომუნიკაციო დიზაინი) საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულები დასაქმდებიან კრეატიულ ინდუსტრიაში: კრეატიულ სააგენტოებში, ციფრულ კრეატიულ სააგენტოებში, დიზაინ სტუდიებში. სარეკლამო ფროდაქშენ სტუდიებში, ფოტო, ვიდეო, ანიმაციისა სტუდიებში, ასევე, ბიზნეს სექტორში, , იმ პოზიციებზე, სადაც არ არის სავალდებულო მაგისტრის ხარისხი. ასევე, კურსდამთავრებულებს აქვთ თვითდასაქმების საშუალება, მათ შემოქმედებითი და ტექნიკური უნარები Adobe Creative, Blender, Redymag-design tools for web, გამომუშავებული აქვს სწავლის პერიოდში. პროგრამის მთავარი პრიორიტეტი საერთაშორისო ხარისხზე ორიენტირებაა, შესაბამისად კურსდამთავრებულები ფლობენ ყველა საჭირო ცოდნას და უნარს, იმისათვის, რომ დასაქმდნენ ან სტაჟირება მოიპოვონ საერთაშორისო დონეზე. ღია შემოქმედებითი პერსონალური ან/და არსებული პლატფორმები https://www.behance.net/ https://dribbble.com/ (და სხვა) ხელს უწყობს მათ, გააზიარონ საკუთარი ნამუშევრები და პორტფოლიო, მიიღონ მონაწილეობა საერთაშორისო კონკურსებში და გახდნენ წარმატებული შემოქმედებითი ლიდერები (Art Director). გარდა ამისა, პროგრამის დასასრულს სტუდენტები ქმნიან საკუთარ პლატფორმას/პორტფოლიოს, საკუთარი იდენტობის გამოსახატად.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა:

ვიზუალური კომუნიკაციის (რეკლამა და საკომუნიკაციო დიზაინი) საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებული უფლებამოსილია, სწავლა განაგრძოს საქართველოს ან სხვა ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ნებისმიერი მიმართულების სამაგისტრო პროგრამაზე, თუ ამ პროგრამაზე მიღების წინაპირობა არ არის შეზღუდული სხვა სპეციალობის ბაკალავრის აკადემიური ხარისხით.

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსი:

ვიზუალური კომუნიკაციის (რეკლამა და საკომუნიკაციო დიზაინი) საბაკალავრო პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური რესურსით. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კომპონენტებს უძღვება უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალი, აგრეთვე სათანადო გამოცდილებისა და კომპეტენციების მქონე მოწვეული ლექტორები.
ადამიანური რესურსის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ №2 დანართში.

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსი:

ვიზუალური კომუნიკაციის (რეკლამა და საკომუნიკაციო დიზაინი) საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება სტუდენტებისთვის შეზღუდვების გარეშე ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, კერძოდ:

- სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები;
- ბიბლიოთეკა;
- კომპიუტერული ლაბორატორია, ინტერნეტში და შიდა ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკა და სწავლის/სწავლების პროცესის ადეკვატური

CONFIDENTIAL

კომპიუტერული პროგრამები;

- აპარატურას ფოტო, ვიდეო გადაღებებისათვის;
- ფოტო ლაბორატორია/სტუდია შესაბამისი ტექნიკით;
- სხვადასხვა ტექნიკური მოწყობილობები და ა.შ.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა სტუდენტებს უზრუნველყოფს სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული სახელმძღვანელოებით, აგრეთვე ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის მონაცემთა ბაზით და უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებული ელექტრონული კატალოგით.

უნივერსიტეტის საკუთრებაში და მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს ვიზუალური კომუნიკაციების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების რეალიზაციასა და დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევას:

შენობა-ნაგებობანი **-** საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებულ შენობაში, (მარი ბროსეს 2) სადაც დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური და უსაფრთხოების ნორმები (შენობებში დამონტაჟებულია სიგნალიზაცია, არის ცეცხლმაქრები, პერიმეტრზე მიმდინარეობს ვიდეო კონტროლი, წესრიგს იცავს უნივერსიტეტის დაცვის თანამშრომელი). შენობა სრულად პასუხობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის დადგენილ ტექნიკურ მოთხოვნებს, არის სათანადო ტექნიკითა და ინვენტარით (ტელევიზორები, პროექტორები, სკამები, მერხები, დაფები და სხვ.) აღჭურვული სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობებისთვის განკუთვნილი აუდიტორიები.

ბიბლიოთეკა - უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცულია საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული ფონდი, რომელიც ხელმისაწვლომია სტუდენტებისთვის, მოწვეული ლექტორი და აკადემიური პერსონალისთვის. სამკითხველო დარბაზში სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ ინტერნეტით და საერთაშორისო ელექტრონული რესურსით (EBSCO; JSTOR; Cambridge Journals Online, eDuke Journals Scholarly Collection, Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-books; ImechE Journals; New England Journal of Medicine; Openedition Journals; Royal Society Journals Collection; SAGE Premier.უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას აქვს ელექტრონული კატალოგი.

აკადემიური პერსონალის სამუშაო სივრცე - აკადემიური პერსონალისათვის შექმნილია სათანადო ინვენტარითა და ტექნიკით (სკამები მაგიდები, კარადები, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი, ქსეროქსის მულტიფუნქციური აპარატი) აღჭურვილი სამუშაო გარემო.

საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები -ვიზუალური კომუნიკაციის (რეკლამა და საკომუნიკაციო დიზაინი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისა და ადმინისტრირების ხელშეწყობის მიზნით, უნივერსიტეტი იყენებს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. არსებობს საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა, არსებული კომპიუტერული ტექნიკა პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს, ჩართულია ინტერნეტში და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, აკადემიური, მოწვეული ლექტორი და ადმინისტრაციული პერსონალისთვის. სტუდენტებისთვის შეფასებების ხელმისაწვდომობის, ადმინისტრაციის მხრიდან სტუდენტთა აკადემიური მოსწრების კონტროლისა და სასწავლო პროცესის ხელშეწყობისთვის გამოიყენება სტუდენტთა ცოდნის შეფასებისა და სწავლების ორგანიზების ელექტრონული სისტემა - lmb.gipa.ge. უნივერსიტეტის ვებ–გვერდის მეშვეობით, რომელზეც განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასთან და სასწავლო პროცესის წარმართვასთან დაკავშირებული და სხვა ინფორმაცია, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ინფორმაცის საჯაროობას და ხელმისაწვდომობას.

პროგრამის ხელმძღვანელი:

ნინო ლიპარტელიანი, ასოცირებული პროფესორი
ბროსეს ქ. #2
თბილისი, 0108, საქართველო

მობ: (995 551) 975 475
e-Mail: n.liparteliani@gipa.ge

CONFIDENTIAL

ნინო გედევანიშვილი პროფესორი
ბროსეს ქ. #2
თბილისი, 0108, საქართველო

მობ: (995 577) 449 397
e-Mail: n.gedevanishvili@gipa.ge

საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და აღწერილობა:

საბაკალავრო პროგრამა შედგება ექვსი სემესტრისაგან , რომლის განმავლობაში სტუდენტი აგროვებს 180 კრედიტს.

პროგრამის სტრუქტურა მოიცავს 10 სექციას, რომელიც გადანაწილებულია 6 სემესტრზე.

პირველი 2 სასწავლო წელის განმავლობაში სასწავლო კურსების სტრუქტურა წარმოდგენილია შემდეგნაირად: ორი თეორიული ან თეორიულ-პრაქტიკული კურსი სემესტრის მანძილზე (16 კვირა), ასევე ინტენსიური სასწავლო კურსები დაჯგუფებული სექციებად (ხანგძლივობა 8 კვირა, 16 შეხვედრა), რომელთაგანაც სექციები#1,3,5,7 მოიცავს სწავლების 1-8 კვირას, ხოლო სექციები#2,4,6,8 მიმდინარეობს 9-16 კვრიას. ხოლო, მესამე სასწავლო წელს V სემესტრში სტუდენტები გადიან მე-9 სექციას, VI სემესტრიში კი მე-10 სექციას.

პროგრამა ვითარდება მარტივიდან რთულისკენ და მოიცავს სწავლების 3 ეტაპს:

პირველი ეტაპი (I- II სემესტრი) 68 კრედიტი - სავალდებულო საფუძვლები (Introduction to VC, Introduction Creative, Introduction Tech skills)
შესავალი ნაწილი სტუდენტებს უბიძგებს შეიმუშაონ ვიზუალური ექსპერიმენტული მიდგომა. სტუდენტი ითვისებს კომუნიკაციის უნარებს, თანამედროვე ვიზუალური კომუნიკაციის პოტენციალს, გამოსახულების შექმნის ხერხებს შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფით, მთელი რიგი კონკრეტული თემების საშუალებით. საველე ვიზიტები მუზეუმებში, გალერეებში და ფესტივალებზე ეხმარება მათ მიღებული ცოდნის გააზრებაში.
მათ შორის:
***ინგლისური - 8 კრედიტი** სტუდენტებისათვის, ვინც პრეტესტის საფუძველზე გამოავლენს ენის ცოდნას B1/B2 დონეზე, მათთვის ინგლისური სავალდებულოა, ხოლო FCE, CAE დონის სტუდენტებისათვის დაინიშნება სასერტიფიკატო გამოცდა.

მეორე ეტაპი (III-VI სემესტრი) 59 კრედიტი - სავალდებულო პროფესიონალური (Development Creative, Development Tech skills)
გამოწვევა, სადაც სტუდენტები ავითარებენ სტრატეგიებს, ვიზუალურ გრაფიკულ, ციფრულ, ვიდეო, ინტერაქტიულ კონტენტს კომერციული და არაკომერციული პროდუქტების, სერვისების ან ბრენდების ღირებულებების/ფასეულობების შესაბამისად, სხვადასხვა საკომუნიკაციო არხების და ტექნოლოგიების გამოყენებით.
მესამე ეტაპი (V-VI სემესტრი) 33 კრედიტი - პროფესიონალური გამოცდილება (Advanced Creative, Advanced Tech skills, Leadership)
დასკვნითი ფაზა, როდესაც სტუდენტები მუშაობენ რეალურ პროექტებზე/ბრიფებზე, რომლებიც შემუშავებულია ჩვენს პარტნიორ კომპანიებთან ერთად. ამ ეტაპზე სტუდენტები გამოხატავენ საკუთარ შემოქმედებით ხედვას, როგორც შემოქმედებითი ლიდერები (Art Director) (23 კრედიტი). ამავე დროს, ქმნიან პროფესიონალურ პორტფოლიოს, გაივლიან სავალდებულო სტაჟირებას პროგრამას პარტნიორ (არა მარტო) სააგენტოებში და სტაჟირების პროცესში იმუშავებენ პერსონალურ პროექტზე (პრაქტიკული კომპონენტი 10 კრედიტი).

CONFIDENTIAL

თავისუფალი კრედიტები - 20 კრედიტს სტუდენტი აგროვებს მისთვის საინტერესო საგნების არჩევით (სწავლების მესამე ეტაპზე), როგორც პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული არჩევითი საგნებით ან მოდულებით (12 კრედიტი), ასევე, უნივერსიტეტის მასშტაბით, სხვა საბაკალავრო პროგრამების მიერ შეთავაზებული საგნებით (8 თავისუფალი კრედიტი). ინგლისურის FCE CAE დონის სტუდენტებისათვის, ვინც გათავისუფლდება ენის სასწავლო კურსებიდან, მათ შესაბამისი **8 კრედიტი** უნდა დააგროვონ თავისუფალი არჩევითი საგნებით.

ვიზუალური კომუნიკაცია (რეკლამა და საკომუნიკაციო დიზაინი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის საგნობრივი დატვირთვა				ECTS კრედიტი/საათი [1] კრედიტი 25 საათი						სტუდენტის სასწავლო დატვირთვა	
				I წელი		II წელი		III წელი		საკონ ტაქტო საათები	დამოუკი დებელი საათები
				სემესტრი							
N	საგნის კოდი	წინაპირობა	საგანი	I	II	III	IV	V	VI		
FCL VC 101-VC 208 სავალდებულო საფუძვლები											
1	VC 101	არ გააჩნია	მსოფლიო ხელოვნება	4						32	68
2	VC 102	არ გააჩნია	ვიზუალური ენა ნაწილი 1	4						48	52
სექცია 1[2]											
3	VC 103	არ გააჩნია	ციფრული ფოტოგრაფია	4						32	68
4	VC 104	არ გააჩნია	ხატვა	4						32	68
5	VC 105	არ გააჩნია	**Adobe LAB 1** Digital imaging with Adobe Photoshop Moving image with Adobe Premier Pro	3						48	27
სექცია 2											
6	VC 106	არ გააჩნია	ვიზუალური თხრობა (D&AD)	4						32	68
7	VC 107	არ გააჩნია	ექსპერიმენტული ვიდეო არტი	4						32	68
8	VC 108	არ გააჩნია	კომუნიკაციის უნარები ნაწილი 1 აკადემიური და კონცეფციის წერა	3						32	43
				30							
9	VC 201	VC 101	თანამედროვე ხელოვნება		4					32	68
10	VC 202	VC 101 VC 102 VC 103 VC 104 VC 105	ვიზუალური ენა ნაწილი 2		4					48	52
სექცია 3											
11	VC 203	VC 102	გრაფიკული დიზაინი/თეორია და პრაქტიკა		4					48	52

[2] თემატურად დაკავშირებული სავალდებულო საგნების ჯგუფი

		VC 104 VC 105 VC 106									
12	VC 204	VC 102 VC 104	ტიპოგრაფიის ხელოვნება		4					32	68
13	VC 205	VC 105	**Adobe LAB 2** Vector imaging with Adobe Illustrator Motion graphics with Adobe After Effect		3					48	27
სექცია 4											
14	VC 206	VC 106	სტრატეგიული ბრენდინგი		4					32	68
15	VC 207	VC 102 VC 104 VC 105 VC 106	ვიზუალური ბრენდინგი		4					32	68
16	VC 208	VC 108	კომუნიკაციის უნარები ნაწილი 2 პრეზენტაცია Performance Techniques		3					32	43
					30						
17	M / VC 1	პრეტესტი	ინგლისური ენა 1 (B1.1, B2.1)	4						48	52
18	M / VC 2	M / VC1	ინგლისური ენა 2 (B1.2, B2.2)		4					48	52
PORTFOLIO REVIEW											

ვიზუალური კომუნიკაცია (რეკლამა და საკომუნიკაციო დიზაინი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის საგნობრივი დატვირთვა				ECTS კრედიტი/საათი 1 კრედიტი 25 საათი						სტუდენტის სასწავლო დატვირთვა	
				I წელი		II წელი		III წელი		საკონ ტაქტო საათები	დამოუკი დებელი საათები
				სემესტრი							
N	საგნის კოდი	წინაპირობა	საგანი	I	II	III	IV	V	VI		
MP VC 301- VC 408 სავალდებულო პროფესიონალური											
19	VC 301	FCL VC101-208	თეორია და პრაქტიკა კრეატიულ კომუნიკაციაში ნაწილი 1 თანამედროვე ხელოვნებიდან რეკლამამდე			4				32	68
20	VC 302	FCL VC101-208	სტუდიური პრაქტიკა/Adobe Advanced Studio Practice/Adobe Advanced			4				48	52

სექცია 5											
21	VC 303	FCL VC101-208	არტ დირექტორი ნაწილი 1			4				32	68
22	VC 304	FCL VC101-208	ქოფირაითერი ნაწილი 1-ზემოქმედებითი წერა			3				32	43
23	VC 305	FCL VC101-208	ფოტოს რედაქტირება, რეტუში და მანიპულაციები			3				32	43
სექცია 6											
24	VC 306	FCL VC101-208	მარკეტინგის გარემო და ტრენდები			3				32	43
25	VC 307	FCL VC101-208	UI/UX & ვებ დიზაინი			4				48	52
26	VC 308	FCL VC101-208	ინოვაცია და კიბერ კულტურა			4				48	52
						29					
27	VC 401	VC 301 VC 302	თეორია და პრაქტიკა კრეატიულ კომუნიკაციაში ნაწილი 2 მუნჯი კინოდან რეკლამამდე				4			32	68
28	VC 402	VC 302	2D, 3D მოძრავი გრაფიკა და დიზაინი				4			48	52
სექცია 7											
29	VC 403	VC 302 VC 303 VC 306 VC 307	არტ დირექტორი ნაწილი 2				4			32	68
30	VC 404	VC 304 VC 306 VC 307	ქოფირაითერი ნაწილი 2-ზემოქმედებითი წერა				3			32	43
31	VC 405	VC 302 VC 303 VC 304	ამბის თხრობა და სარეკლამო ვიდეო წარმოება				4			48	52
სექცია 8											
32	VC 406	VC 301 VC 303 VC 304 VC 306 VC 308	საკომუნიკაციო სტრატეგია				4			32	68
33	VC 407	VC 306 VC 307 VC 308	სარეკლამო არხები და მედია				3			32	43
34	VC 408	FCL VC101-208 VC 306 VC 307	შემოქმედებითი ციფრული პროექტი				4			48	52

		VC 308									
							30				
PORTFOLIO REVIEW											

ვიზუალური კომუნიკაცია (რეკლამა და საკომუნიკაციო დიზაინი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის საგნობრივი დატვირთვა				ECTS კრედიტი/საათი 1 კრედიტი 25 საათი						სტუდენტის სასწავლო დატვირთვა	
				I წელი		II წელი		III წელი		საკონ ტაქტო საათები	დამოუკი დებელი საათები
				სემესტრი							
N	საგნის კოდი	წინაპირობა	საგანი	I	II	III	IV	V	VI		
PA VC 501- VC 505 პროფესიონალური გამოცდილება/Advanced											
სექცია 9											
35	VC 501	MP VC 301-408	შემოქმედებითობა/ Advanced					5		45	80
36	VC 502	MP VC 301-408	ბრენდის ვიზუალური კომუნიკაცია / Advanced					5		45	80
37	VC 503	MP VC 301-408	პორტფოლიოს განვითარება					4		30	70
38	VC 504	MP VC 301-408	კრეატივ დირექტორი/კრეატიული პროცესის მართვა					5		45	80
39	VC 505	MP VC 301-408	Boot Camp / ლიდერობა					4		30	70
								23			
FINAL PORTFOLIO REVIEW											
სექცია 10											
40	VC 601	PA VC 501-505	პრაქტიკული კომპონენტი/სტაჟირება და პერსონალური პროექტი/FINAL REVIEW						**10**	150	100
არჩევითი საგნები[3] **20**											
თავისუფალი არჩევითი საგნები								**8**			
დარგობრივი არჩევითი საგნები								**12**			
1	ELT VC 01	არ გააჩნია	ინტელექტუალური საკუთრების სამართალი (კრეატიული ინდუსტრიისათვის)					4		24	76
2	ELT VC 02	არ გააჩნია	კინოს ისტორია					4		36	64

[3] სტუდენტმა არჩევითი 20 კრედიტი უნდა დააგროვოს თავისუფალი არჩევითი საგნებისა (8 კრედიტი) და დარგიბრივი არჩევითი საგნების (12 კრედიტი) გავლით. თავისუფალი არჩევითი საგნების სახით სტუდენტს შესაძლებლობა აქვს აირჩიოს უნივერისტეტის სხვა საბაკალავრო პროგრამის საგნები.

3	ELT VC03	MP VC 301-408	ბრენდის კომუნიკაცია / Advanced LAB					12		78	222
4	ELT VC 04	MP VC 301-408	გრაფიკული დიზაინი / Advanced LAB					12	12	93	207
5	ELT VC 05	MP VC 301-408	სტარტაპ ლაბორატორია / Start-up LAB						12	83	217
6	ELT VC 06	MP VC 301-408	სარეკლამო ფოტოგრაფია / Advanced LAB						8	64	136
7	ELT VC 07	FCL VC 101-208	ვიდეო ესსე						4	36	64
8	ELT VC 08	MP VC 301- 408	კოდინგი კრეატივისთვის						4	36	64
9	ELT VC 09	არ გააჩნია	აუდიობრენდინგი						4	24	76

კურიკულუმის რუკა

შედეგები FCL VC 101-VC 208 სავალდებულო საფუძვლები	შედეგი #1	შედეგი #2	შედეგი #3	შედეგი #4	შედეგი #5	შედეგი #6	შედეგი #7	შედეგი #8	შედეგი #9	შედეგი #10	შედეგი #11
მსოფლიო ხელოვნება	I	I	I	I		I					
ვიზუალური ენა ნაწილი 1	IC	I	IC	I		IC	I	I			
ციფრული ფოტოგრაფია		IC	IC	IC		IC	I	I			
ხატვა	IC	I	IC		I	I	I	IC			
Adobe LAB 1			I	I	I			I	I		
ვიზუალური თხრობა (D&AD)	IC	IC	IC			IC	IC	IC	I		
ექსპერიმენტული ვიდეო არტი	IC		IC	IC		IC	I	IC	I		
კომუნიკაციის უნარები ნაწილი 1 აკადემიური და კონცეფციის წერა		I				IC	I			I	
თანამედროვე ხელოვნება	D	D	D	D		D	D	D			I
ვიზუალური ენა ნაწილი 2	D	IC	D	IC		D	IC	IC			I
გრაფიკული დიზაინი/თეორია და პრაქტიკა	D	IC	IC	IC		IC	IC	D		I	
ტიპოგრაფიის ხელოვნება	I		IC			IC	IC	D		I	
Adobe LAB 2			D	D	D			D	D		
სტრატეგიული ბრენდინგი		I	IC		IC	IC	IC			I	

ვიზუალური ბრენდინგი	D	D	D	IC	IC	D	D	D	IC	IC	
კომუნიკაციის უნარები ნაწილი 2 პრეზენტაცია და პერფორმანსი		D			D	D	IC		IC	I	
M/VC 1 ინგლისური						I					
M/VC 2 ინგლისური						D					
MP VC 301- VC 408 სავალდებულო პროფესიონალური											
თეორია და პრაქტიკა კრეატიულ კომუნიკაციაში ნაწილი 1 თანამედროვე ხელოვნებიდან რეკლამამდე	CD	CD	CD	CD		CD					D
სტუდიური პრაქტიკა Studio practice/Adobe advanced			CD	CD	CD			CD	CD		
არტ დირექტორი ნაწილი 1		D	D	D	D	D	D	CD	D	D	D
ქოფირაითერი ნაწილი 1		D		D	D	D	D			D	D
ფოტოს რედაქტირება, რეტუში და მანიპულაციები			CD	CD	CD		D	CD			
მარკეტინგის გარემო და ტრენდები		D	D		D	D	D				
UX & ვებ დიზაინი			D	CD	CD	CD		CD	D		
ინოვაცია და კიბერ კულტურა	D	D	CD	CD		D	D		CD	D	
თეორია და პრაქტიკა კრეატიულ კომუნიკაციაში ნაწილი 2 მუნჯი კინოდან რეკლამამდე	CD	CD	CD	CD		CD	IC				D
2D, 3D მოძრავი გრაფიკა და დიზაინი			CD	CD	CD			CD			
არტ დირექტორი ნაწილი 2		CD	CD	CD	CD	CD	CD	D	D	D	D
ქოფირაითერი ნაწილი 2		CD		CD	D	CD	CD			D	D
სარეკლამო ვიდეო წარმოება			CD	CD	CD	CD	D	CD	CD	D	
საკომუნიკაციო სტრატეგია		D	CD		D	D	CD	CD	D		
სარეკლამო არხები და მედია		CD		CD	D	CD		D			
შემოქმედებითი ციფრული პროექტი		D	CD	CD	CD	CD	D	CD	CD	D	
PA VC 501- VC 601 პროფესიონალური გამოცდილება/Advanced											
შემოქმედებითობა/ Advanced	CA	CA	CA	CA	A	A			A	CA	CA

ბრენდის ვიზუალური კომუნიკაცია / Advanced		A	CA	CA	CA	A	A	CA	A	A	A
პორტფოლიოს განვითარება			CA	CA	CA		CA	CA	CA	A	A
კრეატივ დირექტორი/კრეატიული პროცესის მართვა		CA	CA	CA	CA	CA	A		A	CA	CA
Boot Camp / ლიდერობა				A	A	CA	CA		A	A	A
პრაქტიკული კომპონენტი/სტაჟირება და პერსონალური პროექტი/FINAL REVIEW	CA	CA	CA	CA	CA	CA	CA	CA	CA	CA	CA

ინდიკატორები: I-Introduction; IC-Introduction Creative; D –Development ; CD – Creative Development ; A- Advanced ; CA – Creative Advanced

CONFIDENTIAL

დანართი #1

სახელი, გვარი	ნინო ლიპარტელიანი[4]			
თანამდებობა	ვიზუალური კომუნიკაციის (რეკლამა და საკომუნიკაციო დიზაინი) საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი			
სამუშაო ადგილი	საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი			
საკონტაქტო ინფორმაცია	ტელეფონი:	+995 551975475	ელ-ფოსტა:	n.liparteliani@gipa.ge
სემინარები და კურატორიული პროექტები	**2023-2010** GIPA's Art Factory ჯგუფური პროექტების კურატორი ინოვაციური პროექტები, კურატორი, ტექნო პარკი Portfolio Review Tbilisi - საქართველოს ახალგაზრდა შემოქმედებისთვის ვორქშოფი - თანამედროვე პროდუქტის დიზაინი სემინარები GIPA და საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი CG Multilab projects – არტისტები არტისტებისთვის, ანიმაციის ტრენდები, TOT, 2D დიზაინი და 3D ბეჭდვა საერთაშორისო ვორქშოფი - GIPA და სარეკლამო კრეატიული სააგენტო “Voskhod”, თბილისი საქართველო ტრენინგები - დიზაინი მცირე ბიზნესისთვის/ბრენდებისთვის – თელავი, საქართველო საერთაშორისო ვორქშოფი -რეკლამის სტრატეგია, GIPA და სარეკლამო კრეატიული სააგენტო BBDO, თბილისი, საქართველო საერთაშორისო ვორქშოფი - შემოქმედებითობა, GIPA and Wordshop-კომუნიკაციების სკოლა და Miami AD School, სიღნაღი, საქართველო საერთაშორისო ვორქშოფი -სარეკლამო სტრატეგია, კრეატივი, ხელოვნება და დიზაინი, GIPAდა BBDO, Design Depot, Mccann, წინანდალი, საქართველო სემინარები - გრაფიკული დიზაინის თეორია; თბილისი საქართველო სემინარები - ურბანული განვითარება; თბილისი საქართველო სემინარები- რეკლამის სტრატეგია, ბრენდინგი, არტ დაირექშენი, თბილისი, საქართველო ფარაჯანოვის ეზო, კურატორი, არტ დირექტორი, თბილისი საქართველო; ცნობილი პორტრეტები, ჯგუფური გამოფენა, კურატორი, თბილისი, საქართველო ყველაფერი ბებიაჩემის შესახებ, ჯგუფური გამოფენა, კურატორი, თბილისი, საქართველო			
დიზაინ პროექტები და გამოფენები	2022- თანამედროვე დიზაინ-ობიექტები DesignScolio ინტერიერის გამოფენა, ტალინი, ესტონეთი 2022- DesignScolio XVII Disainiöö, ტალინის დიზაინის ფესტივალი, ესტონეთი 2021- თანამედროვე დიზაინ-ობიექტები DesignScolio ინტერიერის გამოფენა, ტალინი, ესტონეთი 2021-DesignScolio XVI Disainiöö, ტალინის დიზაინის ფესტივალი, ესტონეთი 2020 – თანამედროვე დიზაინ-ობიექტების გამოფენა, Telliskivi, ტალინი, ესტონეთი 2019 - თანამედროვე დიზაინის გამოფენა TAF Tbilisi Art Fair დიზაინ-ობიეტქბი, Design Georgia, MOMAთბილისი. **2010 – 2008** თბილისის მოდის კვირეული, F/W, არტ დირექტორი, დიზაინერი, თბილისი საქართველო BIO ART, არტ დირექტორი, თბილისი, საქართველო სცენოგრაფია, TV პროექტი, ბათუმი, საქართველო Make Music, არტ დირექტორი, თბილისი, საქართველო დედამიწის საერთაშორისო დღე, კრეატიული დირექტორი, Green Space მხარდაჭერით, თბილისი საქართველო სცენოგრაფია, Crazy 2, თბილისი, საქართველო Creative Hats Festival – საერთაშორისო გამოფება, ნოიბურგი, გერმანია კულტურის გაერთიანება, კოლაბორაციული არტ პროექტი კავკასიის რეგიონში EU Cultural Program მხარდაჭერით, ბაქო, აზერბაიჯანი **2008-2001**			

[4] იხილეთ დეტალური რეზიუმე ბმულზე

	მოდის კვირეულები NOMA studio F/W S/S არტ დირექტორი, დიზაინერი, თბილისი საქართველო **2000-1997** კერამიკული სკულპტურები, დიზაინერი, USAსაელჩო, თბილისი, საქართველო კერამიკის სული, დიზაინერი, Tagis Art House, თბილისი საქართველო კერამიკული სკულპტურები, დიზაინერი, TMS Gallery თბილისი, საქართველო

სახელი, გვარი	ნინო გედევანიშვილი[5]			
თანამდებობა	ვიზუალური კომუნიკაციის (რეკლამა და საკომუნიკაციო დიზაინი) საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი			
სამუშაო ადგილი	საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი			
საკონტაქტო ინფორმაცია	ტელეფონი:	+995 577449397	ელ-ფოსტა:	n.gedevanishvili@gipa.ge
დაცული დისერტაცია და სამეცნიერო კვლევის სფეროები	1982-1987 თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის კათედრა ხელოვნებათმცოდნე 1985 პეტერბურგი; კვალიფიკაციის ამალება/ პრაქტიკული გამოცდილება ერმიტაჟი/ 1993 მოსკოვი კვლევა თემაზე: თანამედროვე ხელოვნების სოციოლოგიური კონცეფციები. ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი /მასობრივი კომუნიკაციების სექტორი/კონსულტანტი პროფ. ნ.ზორკაია 2004 Special Program on Arts School Management INTERNATIONAL VISITOR PROGRAM (აშშ) 2004 ENCATC - მენეჯმენტის კურსი, თბილისი, კავკასიის უნივერსიტეტი 2006 სამეცნიერო ხარისხი 17.00.01თეატრალური ხელოვნება, კინო, ტელე და ეკრანის სხვა ხელოვნება სპეციალობით/საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს არტ 17.01 #1 2008 კვლევა თემაზე საგანმანათლებლო მიმართულება მუზეუმებში/ სმითსონის ინსტიტუტის პოლიტიკისა და ანალიზის ოფისი/ვაშინქტონი/ აშშ.			
პუბლიკაციები	2022 თანამედროვე ხელოვნება მე 20 საუკუნის 1945 წლის შემდეგ (ელექტრონული სახელმძღვანელო) ebooks.gipa.ge 2021 "ხელოვნება და აქტივიზმი"/Artarea/Tv2.0 (4 ლექცია) 2020 პანდემია – არტისტების პასუხი http://blog.radiogipa.ge/?p=5161 2020 Coronavirus Pandemic As A Trigger for Creative Initiatives ICOM ICR 2020 2018 OUTREACH PROGRAMS AS CULTURAL ACTION IN MUSEUMS THEMATIC PAPERS/ ICOM CECA ANNUAL CONFERENCE 2014 “ხელოვნება და პოლიტიკა” კურსის თანმხლები სახელმძღვანელო 2011 სახელმძღვანელო “მუზეუმი- სივრცე ზრდასრულთა განათლებისა და ინტერკულტურული დიალოგისთვის” ISBN 978-99928-829-8-6 2011 სახელმძღვანელო “მუზეუმი 21- საუკუნის გამოწვევების პირისპირ” 2010 სახელმძღვანელო “მუზეუმი 21- საუკუნის გამოწვევების პირისპირ” 2010 სახელმძღვანელო “მუზეუმი და განათლება” ; ISBN 978-99940-980-1-9/ 2009 A Study of Education at the Smithsonian Institution Office of Policy and Analysis August, 2009 2008 კატალოგის ტექსტი გამოფენისთვის `ევოლუციური გენდერი~ 2007 ირიანა შტენბერგი /მონოგრაფია/ ISBN 978-9941-0-0056-0 / სეზანი/ თბილისი,საქართველო 2007 მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო სახელოვნებო უმაღლესი განათლების სასწავლებლებისთვის[ISBN 978-99940-898-0-2] 2007 კატალოგის ტექსტი გამოფენისთვის”გენდერი და ხელოვნება” prepared within the framework of UNDP, “Gender&Politics in the South Caucasus			

[5] იხილეთ დეტალური რეზიუმე ბმულზე

CONFIDENTIAL

	2006 ტრადიცია და ტრანსფორმაცია ირინა შტენბერგის სცენოგრაფიაში" საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი თეატრმცოდნეობითი და კინომცოდნეობითი ძიებანი #7(26),. (ქართულ ენაზე) 2006 აღორძინებული სახელები "საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი. მონოგრაფია უაკ (VDC) 75.04:792, ISBN 99940-0-888-9 (ქართულ ენაზე) 2003 სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების ისტორიისა და თეორიის კათედრისკ კრებული – "ი. შტენბერგის დაზგური გრაფიკა მე-20 საუკუნის 20-30 წლებში`

დანართი #2

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი

	აკადემიური და მოწვეული პერსონალი	სტატუსი	სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები
1	ვახტანგ ხოშტარია	ასოცირებული პროფესორი	მსოფლიო ხელოვნება
2	სოფიო ჩერქეზიშვილი	პროფესორი	ვიზუალური ენა ნაწილი 1
3	დიმიტრი ჩიკვაიძე	მოწვეული	ციფრული ფოტოგრაფია სარეკლამო ფოტოგრაფია / Advanced LAB (ELT)
4	თამარ გედევანიშვილი	ასოცირებული პროფესორი	ხატვა
5	მირიან ყენია	მოწვეული	• **Adobe LAB 1** • **Adobe LAB 2** • სტუდიური პრაქტიკა studio practice /Adobe advanced
6	თინათინ დგებუაძე	მოწვეული	ინგლისური B1 და B2
7	გიორგი პოპიაშვილი	პროფესორი	• ვიზუალური თხრობა (D&AD) • პორტფოლიოს განვითარება
8	თეიმურაზ თეთრაშვილი	მოწვეული	ექსპერიმენტული ვიდეო არტი
9	ნინო გედევანიშვილი	პროფესორი	• თანამედროვე ხელოვნება • თეორია და პრაქტიკა კრეატიულ კომუნიკაციაში ნაწილი 1 თანამედროვე ხელოვნებიდან რეკლამამდე
10	ნინო ლიპარტელიანი	ასოცირებული პროფესორი	• ვიზუალური ენა ნაწილი 2 • Start-up LAB (ELT)

11	ლევან რატიშვილი	ასოცირებული პროფესორი	• გრაფიკული დიზაინი/თეორია და პრაქტიკა • გრაფიკული დიზაინის ლაბორატორია/Advanced (ELT)
12	კახა კახაძე	მოწვეული	• გრაფიკული დიზაინი/თეორია და პრაქტიკა • გრაფიკული დიზაინის ლაბორატორია/Advanced (ELT)
13	ანა სანიკიძე	ასისტენტ პროფესორი	• ტიპოგრაფიის ხელოვნება • გრაფიკული დიზაინის ლაბორატორია/Advanced (ELT)
14	თამარ ყურაშვილი	მოწვეული	კომუნიკაციის უნარები ნაწილი 1 აკადემიური და კონცეფციის წერა
15	გიორგი იმერლიშვილი	ასისტენტ პროფესორი	• სტრატეგიული ბრენდინგი • გრაფიკული დიზაინის ლაბორატორია/Advanced (ELT) • ბრენდის კომუნიკაცია / Advanced LAB (ELT)
16	შალვა (ბუბა) რადიანი	პროფესორი	ვიზუალური ბრენდინგი
17	ირინა ბრეგვაძე	მოწვეული	• კომუნიკაციის უნარები ნაწილი 2 პრეზენტაცია და პერფორმანსი • Boot Camp / ლიდერობა (ELT)
18	გიორგი მაღრაძე	მოწვეული	არტ დირექტორი ნაწილი 1 და 2
19	გიორგი ავალიანი	ასისტენტ პროფესორი	• ქოფირაითერი ნაწილი 1 და 2 • შემოქმედებითი ციფრული პროექტი / Advanced
20	რუსუდან ოსიაშვილი	მოწვეული	• ფოტოს რედაქტირება, რეტუში და მანიპულაციები • სარეკლამო ფოტოგრაფია / Advanced LAB(ELT)
21	გიორგი თოფურია	მოწვეული	• მარკეტინგის გარემო და ტრენდები • Start-up LAB (ELT)
22	ეკატერინე ყიფიანი	მოწვეული	• საკომუნიკაციო სტრატეგია • შემოქმედებითობა/Advanced
23	დავით მაკარიძე	ასოცირებული პროფესორი	• ინოვაციები და კიბერ კულტურა • კოდინგი კრეატივისთვის (ELT)
24	ნინო გორდელაძე	მოწვეული	თეორია და პრაქტიკა კრეატიულ კომუნიკაციაში ნაწილი 2 მუნჯი კინოდან რეკლამამდე
25	გიორგი ველიჯანაშვილი	მოწვეული	2D, 3D მოძრავი გრაფიკა და დიზაინი
26	თამარ გუშარაშვილი	მოწვეული	• UX & ვებ დიზაინი • შემოქმედებითი ციფრული პროექტი/ Advanced
27	გიორგი ვასაძე	მოწვეული	• UX & ვებ დიზაინი • ბრენდის ვიზუალური კომუნიკაცია / Advanced
28	თემო კვინიკაძე	მოწვეული	სარეკლამო არხები და მედია
29	ვალერიან კირკიტაძე	ასოცირებული პროფესორი	სარეკლამო ვიდეო წარმოება

30	თორნიკე არეშიძე	მოწვეული	კრეატივ დირექტორი/კრეატიული პროცესის მართვა
31	თინათინ სტამბოლიშვილი	ასოცირებული პროფესორი	• Boot Camp / ლიდერობა • ბრენდის კომუნიკაცია / Advanced LAB (ELT)
32	აკაკი რაზმაძე	ასისტენტ პროფესორი	გრაფიკული დიზაინის ლაბორატორია/Advance (ELT)
33	ალექსანდრე გაბუნია	მოწვეული	ბრენდის კომუნიკაცია / Advanced LAB (ELT)
34	დიანა მაღლაკელიძე	პროფესორი	კინოს ისტორია (ELT)
35	თინათინ ნაჭყებია	ასისტენტ პროფესორი	ვიდეო ესსე (ELT)
36	ზვიად მღებრიშვილი	მოწვეული	აუდიობრენდინგი (ELT)
37	ლევან ნანობაშვილი	მოწვეული	ინტელექტუალური საკუთრების სამართალი (კრეატიული ინდუსტრიისათვის) (ELT)

CONFIDE